აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი
ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
29 სექტემბერი, 2022
დადგენილება №12(22/23)

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ და მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში სტატიების გამოქვეყნების წახალისების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდეს აკადემიური პერსონალის მიერ მაღალრეიტინგულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიებისთვის ფულადი ჯილდოს გამოყოფა.
2. ჯილდო გაიცემა აწსუ-ს აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ავტორობით/თანავტორობით, უნივერსიტეტის სახელით, 2021-2022 სასწავლო წელს სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე, რომელიც ინდექსირებულია SCOPUS ან Web of Science ბიბლიომეტრიულ ბაზებში.
3. სტატიის გამოქვეყნების პერიოდში, მიმდინარე სასწავლო წელს, პუბლიკაციის ავტორის/ავტორების მიერ წლიური სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის შესრულება, უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1250 სთ-ს.
4. მოწვეული პერსონალი ჯილდოზე წარდგინების შემთხვევაში არ შეიძლება იყოს აფილირებული სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სტატიის გამოქვეყნებიდან ბოლო 3 წლის პერიოდში.
5. ჯილდო განისაზღვროს 2500 ლარით. იმ შემთხვევაში, თუ სტატია გამოქვეყნებულია თანავტორობით, მაშინ ჯილდო გაიცემა პროპორციულად ავტორთა რაოდენობისა (შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ორი ავტორია მაშინ უნივერსიტეტის წარმომადგენელი მიიღებს ნახევარს, თუ სამი მესამედს და ა.შ.).
6. ჯილდო შეიძლება გაიცეს მხოლოდ ერთხელ. ჯილდოს გაცემა ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისა და კვლევის განვითარებისა და მხარდაჭერის ცენტრის ერთობლივი წარდგინებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე.
7. ჯილდოს მიმღებს არ აქვს უფლება იგივე სტატიისთვის მიიღოს უნივერსიტეტიდან რაიმე სხვა ფინანსური თანხა (შრომის ანაზღაურება და სხვა).
8. ეთხოვოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს განიხილოს წინამდებარე გადაწყვეტილება და მიიღოს შესაბამისი დადგენილება ამ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.
9. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ოფიციალური ვებგვერდზე და გამოიკრას ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას. გადაწყვეტილება შესასრულებლად გადაეცეს საფინანსო სამსახურს, ფაკულტეტებს და შესაბამის დაინტერესებულ პირებს.
10. გადაწყვეტილება მოქმედებს და ძალაშია 2022 წლის 31დეკემბრამდე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი